



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

მერსინ ტურიზმი-ს

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა



შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
მოსაზრება	3
მოსაზრების საფუძველი	3
სხვა ინფორმაცია	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში.....	3
დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	5
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	6
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადები მოძრაობის ანგარიშგება	8
1. შპს „მერსინ ტურიზმი“ და მისი საქმიანობა	9
2. კომპანიის საოპერაციო გარემო.....	9
3. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი	9
5. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	14
6. ძირითადი საშუალებები	15
7. მარაგები.....	16
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	16
9. ფული და ფულის ეკვივალენტები	16
10. სესხები	17
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17
12. ამონაგების ანალიზი კატეგორიის მიხედვით	18
13. პირდაპირი ხარჯები	19
14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	20
15. ფინანსური ხარჯი	20
16. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები.....	21
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები.....	21



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს მერსინ ტურიზმი-ს დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „მერსინ ტურიზმი“-ს თანდართულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2024 წლის 31 დეკემბრის თარიღისთვის, აგრეთვე მასთან დაკავშირებული სრული შემოსავლის, ფულადი ნაკადების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისათვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში“ ქვეთავში. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტრთა ეთიკის კოდექსი“ და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც ეთიკის კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვერდით აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს შემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასა და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი უზუსტობა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასს-ის შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს მცდრობით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოდგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმენება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია



აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. აუდიტის ჩატარების დროს ჩვენს მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს, გარდა ამისა ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნი, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, ასახავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად (შემდგომში ტექსტში - კანონი). კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის ამ კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

შპს აუდიტ +2010 (სარეგისტრაციო ნომერი - SARAS-F-490713)

მარიამ ჭურაძე (სარეგისტრაციო ნომერი - SARAS-A-177802)

26 სექტემბერი, 2025

თბილისი, საქართველო



აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. აუდიტის ჩატარების დროს ჩვენს მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს, გარდა ამისა ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვეკლდება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, ასახავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად (შემდგომში ტექსტში - კანონი). კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის ამ კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

შპს აუდიტ +2010 (სარეგისტრაციო ნომერი - SARAS-F-490713)

მარიამ ჭურაძე (სარეგისტრაციო ნომერი - SARAS-A-177802)

26 სექტემბერი, 2025

თბილისი, საქართველო



შპს მერსინ ტურიზმი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა - ლარი, ათას ქართულ ლარში

	შენიშვნა	2024	2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივი			
ძირითადი საშუალებები	6	34,042	36,043
სხვა არამატერიალური აქტივები		35	35
სულ გრძელვადიან აქტივები		34,077	36,078
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	7	974	846
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	748	454
ფული და ფულის ექვივალენტები	9	171	144
სულ მიმდინარე აქტივები		1,893	1,443
სულ აქტივები		35,969	37,521
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		29,862	28,126
გაუნაწილებელი მოგება		(45,413)	(45,255)
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		2,250	2,250
სულ კაპიტალი		(13,301)	(14,879)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სასესხო ვალდებულებები	10	44,682	41,977
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		44,682	41,977
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	4,374	4,580
გადასახდელი გადასახადები		215	129
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი		-	5,714
სულ მიმდინარე ვალდებულებები		4,589	10,423
სულ ვალდებულებები		49,271	52,399
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		35,970	37,521

ეროლ ავგორენ

დირექტორი

26 სექტემბერი, 2025

ნათია ტაკიძე

მთავარი ბუღალტერი

26 სექტემბერი, 2025

შპს მერსინ ტურიზმი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა - ლარი, ათას ქართულ ლარში

	მენიშვნა	2024	2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივი			
ძირითადი საშუალებები	6	34,042	36,043
სხვა არამატერიალური აქტივები		35	35
სულ გრძელვადიან აქტივები		34,077	36,078
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	7	974	846
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	748	454
ფული და ფულის ექვივალენტები	9	171	144
სულ მიმდინარე აქტივები		1,893	1,443
სულ აქტივები		35,969	37,521
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		29,862	28,126
გაუნაწილებელი მოგება		(45,413)	(45,255)
ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი		2,250	2,250
სულ კაპიტალი		(13,301)	(14,879)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სასესხო ვალდებულებები	10	44,682	41,977
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		44,682	41,977
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	4,374	4,580
გადასახდელი გადასახადები		215	129
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი		-	5,714
სულ მიმდინარე ვალდებულებები		4,589	10,423
სულ ვალდებულებები		49,271	52,399
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		35,970	37,521



ეროლ ავგორენ

დირექტორი

26 სექტემბერი, 2025



ნათია ტაკიძე

მთავარი ბუღალტერი

26 სექტემბერი, 2025

შპს მერსინ ტურიზმი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა - ლარი, ათას ქართულ ლარში

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	12	16,002	13,182
პირდაპირი ხარჯები	13	(11,120)	(10,623)
საერთო მოგება/ზარალი		4,882	2,559
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(635)	(605)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		380	65
სხვა საოპერაციო ხარჯი		(32)	(622)
საოპერაციო მოგება/ზარალი		4,594	1,397
ფინანსური შემოსავალი		-	513
ფინანსური ხარჯი	15	(4,752)	(3,495)
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(158)	(1,585)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	
წლის ზარალი		(158)	(1,585)
სხვა სრული შემოსავალი		-	
სულ წლის სრული ზარალი		(158)	(1,585)

ეროლ ავგორენ

დირექტორი

26 სექტემბერი, 2025

ნათია ტაკიძე

მთავარი ბუღალტერი

26 სექტემბერი, 2025

შპს მერსინ ტურიზმი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა - ლარი, ათას ქართულ ლარში

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	12	16,002	13,182
პირდაპირი ხარჯები	13	(11,120)	(10,623)
საერთო მოგება/ზარალი		4,882	2,559
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(635)	(605)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		380	65
სხვა საოპერაციო ხარჯი		(32)	(622)
საოპერაციო მოგება/ზარალი		4,594	1,397
ფინანსური შემოსავალი		-	513
ფინანსური ხარჯი	15	(4,752)	(3,495)
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(158)	(1,585)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	
წლის ზარალი		(158)	(1,585)
სხვა სრული შემოსავალი		-	
სულ წლის სრული ზარალი		(158)	(1,585)

ეროლ ავგორენ

დირექტორი

26 სექტემბერი, 2025



ნათია ტაკიძე

მთავარი ბუღალტერი

26 სექტემბერი, 2025

შპს მერსინ ტურიზმი

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა - ლარი, ათას ქართულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	26,991	(43,670)	2,250	(14,429)
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(16)		-	
საწესდებო კაპიტალის ზრდა	1,151		-	
პერიოდის ზარალი		(1,585)	-	
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	28,126	(45,255)	2,250	(14,879)
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-		-	
საწესდებო კაპიტალის ზრდა	1,736		-	
პერიოდის ზარალი		(158)	-	
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრისათვის	29,862	(45,413)	2,250	(13,301)

ეროლ ავგორენ

დირექტორი

26 სექტემბერი, 2025

ნათია ტაკიძე

მთავარი ბუღალტერი

26 სექტემბერი, 2025

შპს მერსინ ტურიზმი

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა - ლარი, ათას ქართულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	26,991	(43,670)	2,250	(14,429)
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(16)		-	
საწესდებო კაპიტალის ზრდა	1,151		-	
პერიოდის ზარალი		(1,585)	-	
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	28,126	(45,255)	2,250	(14,879)
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-		-	
საწესდებო კაპიტალის ზრდა	1,736		-	
პერიოდის ზარალი		(158)	-	
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრისათვის	29,862	(45,413)	2,250	(13,301)



ეროლ ავგორენ

დირექტორი

26 სექტემბერი, 2025



ნათია ტაკიძე

მთავარი ბუღალტერი

26 სექტემბერი, 2025

	2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება (ზარალი) მოგების გადასახადის შემდეგ	(158)	(1,585)
კორექტირება:		
ცვეთა და ამორტიზაცია	2,210	2,429
დარიცხული პროცენტი	2,786	3,495
ფინანსური შემოსავალი და ხარჯები, წმინდა	1,966	(513)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	6,804	3,826
ცვლილებები:		
მარაგებში	(128)	153
სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(300)	232
სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(294)	260
გადასახადებში	87	59
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	6,169	4,530
გადახდილი პროცენტები	(1,166)	(1,896)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	5,003	2,634
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(224)	(160)
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	15	119
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(209)	(42)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის (კლება)/ზრდა	1,736	1,135
სესხის აღება	1,126	1,230
ნასესხები სახსრების დაფარვა	(3,972)	(4,008)
საწესდებო კაპიტალად რეკლასიფიცირებული სესხი	(3,694)	(1,151)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(4,805)	(2,794)
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	39	40
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	28	(161)
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	144	305
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	172	144

ეროლ ავგორენ

ნათია ტაკიძე

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

26 სექტემბერი, 2025

26 სექტემბერი, 2025

	2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება (ზარალი) მოგების გადასახადის შემდეგ	(158)	(1,585)
კორექტირება:		
ცვეთა და ამორტიზაცია	2,210	2,429
დარიცხული პროცენტი	2,786	3,495
ფინანსური შემოსავალი და ხარჯები, წმინდა	1,966	(513)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	6,804	3,826
ცვლილებები:		
მარაგებში	(128)	153
სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(300)	232
სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(294)	260
გადასახადებში	87	59
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	6,169	4,530
გადახდილი პროცენტები	(1,166)	(1,896)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	5,003	2,634
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(224)	(160)
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	15	119
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(209)	(42)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის (კლება)/ზრდა	1,736	1,135
სესხის აღება	1,126	1,230
ნასესხები სახსრების დაფარვა	(3,972)	(4,008)
საწესდებო კაპიტალად რეკლასიფიცირებული სესხი	(3,694)	(1,151)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(4,805)	(2,794)
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	39	40
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	28	(161)
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	144	305
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	172	144

ეროლ ავგორენ

დირექტორი

26 სექტემბერი, 2025




ნათია ტაკიძე

მთავარი ბუღალტერი

26 სექტემბერი, 2025



1. შპს „მერსინ ტურიზმი“ და მისი საქმიანობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შპს „მერსინ ტურიზმისთვის“ („კომპანია“).

კომპანია დაარსდა 2011 წლის 14 ნოემბერს და რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, დაფუძნებულია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ სარეგისტრაციო ნომრით: 445403288.

2023 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის სრულად ფლობდნენ ბატონი თოლგა ავგორენ (80%) და ბატონი ათილგან არიფაღაოღლუ (20%). 2024 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის სრულად ფლობს ბატონი თოლგა ავგორენ (100%).

კომპანიას ყავს ორასზე მეტი თანამშრომელი განსხვავებულ სექტორში: ადმინისტრაცია და სასტუმროს ოპერაციები.

ძირითადი საქმიანობა. კომპანია ჩართულია მასპინძლობის ინდუსტრიაში. კომპანია ფლობს და მართავს მაღალი კლასის ლუქს სასტუმროს ბათუმში, სასტუმრო ველმონდის ბრენდის ქვეშ. ასევე, კომპანია იჯარით აქირავებს საოფისე სივრცეებს და სამორინეს აღჭურვილობას დაკავშირებულ და მესამე მხარეებზე.

რეგისტრაციის მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის რეგისტრირებული ოფისი არის გოგებაშვილის ქუჩა N60, 6010, ბათუმი, საქართველო.

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობა ხორციელდება საქართველოში. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა განსხვავებული ინტერპრეტაციების და ხშირი ცვლილებების საგანია. საქართველოში შედარებით სტაბილური პოლიტიკური სიტუაცია და ლიბერალური საბაზრო ეკონომიკაა, დაბალი გადასახადებითა და რეგულაციებით. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული ზომების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ხელმძღვანელობას არ შეუძლია წინასწარ გათვალისწინოს ყველა გარემოება რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად ამ ეფექტს, არსებობის შემთხვევაში, რა გავლენა შეიძლება ქონდეს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ზომას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

3. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს-ები) შესაბამისად.

- აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.
- თანხები მრგვალდება უახლოეს ლარამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.
- კომპანიის საანგარიშგებო პერიოდია კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების კონვენციის საფუძველზე, გარდა ფინანსური ინსტრუმენტებისა რომელთა პირვანდელი ღირებულება რეალური ღირებულებით არის შეფასებული.

ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოაშუადა, ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ასევე გაანალიზა კომპანიის საქმიანობაზე მაკროეკონომიკური მოვლენების გავლენა. ხელმძღვანელობამ მიმოიხილა როგორ ბაზრის და ბიზნესის რისკი. მენეჯმენტი მუდმივად ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს ლიკვიდურობის შესანარჩუნებლად და საოპერაციო გარემოს გასაუმჯობესებლად. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე კომპანიას არ აქვს მოლოდინი ისეთი მნიშვნელოვანი რისკების, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებადობაზე.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

კომპანია გადახდავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე, გადფოლტება ან ვადაგადაცილება) იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ მოვლენამ/მოვლენებმა გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე და კომპანია ვერ შეძლებს დებიტორული დავალიანების სრულად მიღებას. დეტალები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების შესახებ იხილეთ შესაბამის განმარტებით შენიშვნაში. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტორები შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის ოპერაციები

კომპანიის საოპერაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოური ვალუტით მიღებული არა მონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ლარი/1 აშშ დოლარი	2.8068	2.6894
ლარი/1 ევრო	2.9306	2.9753

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან, რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება, აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს წარმოქმნილი მოთხოვნები მოიცავს არა საოპერაციო შემოსავლიდან წარმოქმნილ მოთხოვნებს და მომწოდებლებისათვის გადახდილ ავანსებს. რომელიც აღირიცხება თვითღირებულებით და საიდანაც გამოუქვითავია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. კომპანიის საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებითი ნაწილი წარმოადგენს სწრაფადბრუნვად მარაგებს. ისეთი პროდუქცია რომელსაც ახასიათებს შენახვის მოკლე ვადები ან საჭიროებს სპეციალურ შენახვას, კორექტირებულია და ჩამოწერილი იმ საანგარიშო პერიოდში რა დროსაც მოხდა მისი გაუფასურება შესაბამისი მიზეზების გამო.

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საქართველოს საგადასახადო სისტემაში შესული ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო საფუძველზე წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის წმინდა დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშების დანერგვით. შესაბამისად, კომპანია ყველა საგადასახადო კრედიტორულ ვალდებულებებთან ან დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებულ აქტივებს და ვალდებულებებს წარადგენს წმინდა საფუძველზე.

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნაღებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

პერიოდის ცვეთის ხარჯი

მიწასა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში ღირებულებაზე მათი განაწილებით:

- | | |
|--|--------------|
| • შენობა-ნაგებობები | • 20-30 წელი |
| • მანქანა დანადგარები | • 5-10 წელი |
| • ინვენტარი | • 5-10 წელი |
| • ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი | • 5-10 წელი |
| • სატრანსპორტო საშუალებები | • 5-10 წელი |
| • სხვა ძირითადი საშუალებები | • 5-10 წელი |

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და

ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

გადახდილი ავანსები

აღირიცხება თვითღირებულებით საიდანაც გამოუქვითავია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადამი ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

სესხები

კომპანიის სასესხო ვალდებულებები მოიცავს საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებულ ვალდებულებებს ეროვნულ ვალუტაში. სესხის ძირითადი ნაწილი შედგება საკრედიტო ინსტიტუტებისგან მიღებული სესხისგან, რომლის მიღებაც და გადახდაც ხორციელდება ლიმიტის ფარგლებში ათვისებული თანხების პროპორციულად.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებები მოიცავს მოკლევადიან ვალდებულებებს და არც ერთი მათგანს არ გააჩნია 12 თვეზე მეტი გადახდის პირობა.

ღივილენდები

ღივილენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული ღივილენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტიცია აღიარებულია საწყისი ღირებულებით და კლასიფიცირებულია როგორც საწესდებო კაპიტალი, რომელიც მოიცავს დამფუძნებლების ფულად და არა ფულად შენატანებს. ღივილენდის აღიარება ხდება ვალდებულებებში იმ წელს როდესაც ხდება გამოცხადება.

ამონაგების აღიარება

ამონაგები არის კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასის თანხით. გარიგების ფასი არის ანაზღაურების ის ოდენობა, რომლის მიღების უფლებას კომპანია მოელის, რომ მოიპოვებს მომხმარებლისთვის დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ, გარდა მესამე მხარის სახელით მიღებული სახსრებისა.

ამონაგები აღიარდება ნეტო თანხით ფასდაკლებების, ფასდათმობების, უკან დაბრუნებების, დღგ-ს, საექსპორტო მოსაკრებლების და სხვა მსგავსი სავალდებულო გადასახადების გარეშე.

მომსახურების გაყიდვა

კომპანია მომსახურებას გასწევს ფიქსირებული და ცვლადი ფასების ხელშეკრულებებით. თუ საწარმო გადასცემს მომსახურებაზე კონტროლს გარკვეული დროის განმავლობაში, შესაბამისად ის შესასრულებელ ვალდებულებას ასრულებს გარკვეული დროის განმავლობაში, ამონაგები მომსახურების გაწვიდან აღიარდება სააღრიცხვო პერიოდში რომელშიც ხდება მომსახურების გაწევა. ფიქსირებულ ფასიან ხელშეკრულებებისთვის, ამონაგები აღიარდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მთლიანი მომსახურებების გაწეული წილის პროპორციულად რადგან მომხმარებელი მომსახურებას და სარგებელს იღებს მაშინვე.

როდესაც ხელშეკრულება მოიცავს რამდენიმე შესასრულებელ ვალდებულებას, გარიგების ფასი ნაწილდება ყოველ განცალკევებულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასების საფუძველზე. როდესაც პირდაპირ დაუკვირვებელია, ისინი შეფასებული ხდება მოსალოდნელ თვითღირებულებაზე მარჯის დამატებით.

ამონაგების შეფასება, თვითღირებულება ან დასრულებამდე მიღწეული პროგრესი გადაიხედება თუ გარემოებები იცვლება. ნებისმიერი შედეგი რომელიც ზრდის ან ამცირებს ამონაგების ან თვითღირებულების შეფასებას აისახება მოგება ან ზარალში იმ პერიოდში, რომელშიც გარემოებები ხელმძღვანელობისათვის ცნობილი გახდა, რომლებმა გამოიწვიეს შეფასების გადახედვა.

დაფინანსების კომპონენტი არ იგულისხმება რომ არის წარმოდგენილი, რამდენადაც გაყიდვები ხორციელდება 30 დღიანი საკრედიტო პირობებით, რაც საბაზრო პრაქტიკასთან თანხვედრაშია.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში, როდესაც ორგანიზაციას წარმოუქმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საოპერაციო ხარჯები მოიცავს კომუნალურ, კომუნიკაციის, ადმინისტრაციის ხელფასის და სხვა ისეთ დანახარჯებს, რომელთა გაწევაც ხორციელდება განსაზღვრული ვალდებულების უწყვეტად შესასრულებლად.

5. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);

(ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტიორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;

(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;

(დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;

(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

კომპანიას საანგარიშო პერიოდში არ აქვს მნიშვნელოვანი ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან.

შპს მერსინ ტურიზმი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 31.12.2024-ის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა - ლარი, ათას ქართულ ლარში

6. ძირითადი საშუალებები

შენიშვნა 6 - ძირითადი
საშუალებები

საწყისი ღირებულება	მიწა	შენობები	მოწყობილობები	ავჯი და სხვა ინვენტარი	საოფისე აღჭურვილობა	ავტომობილები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
საწყისი ღირებულება	2,057	46,280	6,486	8,477	239	17	-	63,557
აკუმულირებული ცვეთა	-	(14,695)	(4,522)	(5,731)	(186)	(5)	-	(25,139)
ბალანსი 31/12/2022	2,057	31,585	1,965	2,746	53	12	-	38,418
დანამატები	-	-	90	71	-	-	-	160
აქტივის ჩამოწერა	-	-	-	(404)	-	-	-	(404)
ცვეთა პერიოდისთვის	-	(1,579)	(446)	(379)	(11)	(3)	-	(2,417)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	-	286	-	-	-	286
ბალანსი 31.12.2023	2,057	30,006	1,608	2,319	42	9	-	36,043
დანამატები	-	-	44	118	-	62	-	224
აქტივის ჩამოწერა	-	-	(22)	-	-	(17)	-	(39)
ცვეთა პერიოდისთვის	-	(1,500)	(361)	(340)	(9)	(1)	-	(2,210)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	15.98	-	-	8.13	-	24
ბალანსი 31.12.2024	2,057	28,507	1,285	2,098	34	61	-	34,042

უზრუნველყოფაში ჩადებული აქტივები. ძირითადი საშუალებების ყველა ერთეული 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩადებული იყო უზრუნველყოფილი საბანკო სესხების პირობებში

7. მარაგები

მარაგები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

შენიშვნა 7 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	31-12-24	31-12-23
სასაქონლო ფასეულობები	785	651
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	189	195
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	974	846

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

შენიშვნა 8 - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-12-24	31-12-23
სავაჭრო მოთხოვნები	701	331
გადახდილი ავანსები	46	122
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	748	453

9. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

შენიშვნა 9 - ფული და ფულის ექვივალენტები

	31-12-24	31-12-23
ნაღდი ფული	110	117
ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	61	27
ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	0	0
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	171	144

10. სესხები

სესხები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

შენიშვნა 10 - ნასესხები სახსრები	ვალუტა	31-12-24	31-12-23	31-12-22
საბანკო სესხები	USD	31,862	36,153	40,335
სესხები დაკავშირებული მხარისგან	USD	9,128	8,096	8,062
დარიცხული პროცენტის ვალდებულება		3,692	3,441	2,138
სულ		44,682	47,691	50,536

	2024	2023
ნასესხები ფულადი სახსრები და გადასახდელი პროცენტები	47,691	50,536
სესხზე დარიცხული პროცენტი	2,786	3,495
მიღებული ფულადი სახსრები	1,126	1,230
საწესდებო კაპიტალად რეკლასიფიცირებული სესხი	(3,694)	(1,151)
გადახდილი პროცენტი	(1,166)	(1,896)
გადახდილი ძირი თანხა	(3,972)	(4,070)
საკურსო სხვაობა	1,912	(515)
სესხის კორექტირება		62
სულ ნასესხები სახსრები	44,682	47,691
გრძელვადიანი ნაწილი	44,682	41,977

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

შენიშვნა 11 - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31-12-24	31-12-23
სავაჭრო ვალდებულებები	4,082	4,413
მიღებული ავანსები	290	166
სხვა ვალდებულებები	2	2
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,374	4,580

12. ამონაგების ანალიზი კატეგორიის მიხედვით

მომხმარებელბთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების ჩაშლა :

კომპანიის ამონაგები წარმოიქმნება საქონლის და მომსახურების გადაცემის მომენტში, შემდეგ მთავარ პროდუქტების ხაზებსა და გეოგრაფიულ რეგიონებზე:

შენიშვნა 12 - შემოსავალი რეალიზაციიდან

	2024	2023
ოთახები და სტუმრებისთვის გაწეული დაკავშირებული მომსახურებები	12,117	9,685
საკვები	124	105
რესტორანი	2,182	1,884
სხვა	191	150
სულ ამონაგები მომხმარებელბთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	14,614	11,825
ამონაგები დაკავშირებულ მხარეებთან იჯარებიდან	1,389	1,357
სულ	16,002	13,182

13. პირდაპირი ხარჯები

პირდაპირი ხარჯები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

შენიშვნა 13 - პირდაპირი ხარჯები

	2024	2023
ცვეთა და ამორტიზაცია	2,210	2,429
ხელფასის ხარჯი	3,596	3,044
კომუნალური ხარჯი	1,897	1,952
საკვების და სხვა მარაგის თვითღირებულება	1,580	1,345
სხვადასხვა საქონელი	814	959
სასტუმროს რეზერვაციის საკომისიო	505	286
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები	51	60
გამოუქვითავი ხარჯები	57	14
სხვა საგადასახადო ხარჯი	366	357
კომუნიკაციის ხარჯი	45	47
სამეურნეო ხარჯი	-	130
სულ პირდაპირი ხარჯები	11,120	10,623

14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

შენიშვნა 14 - საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
პროფესიული მომსახურების საზღაური	102	100
დაზღვევა	133	123
ტრანსპორტირების და მოვლის ხარჯი	14	30
ბანკის საკომისიოები	66	52
საპენსიო ხარჯი	60	50
წარმომადგენლობითი ხარჯი	-	-
კომპიუტერის ხარჯი	16	11
სამეურნეო ხარჯი	29	27
ივენტის ხარჯი	-	0
იჯარის ხარჯი	36	36
სხვა ხარჯები	179	175
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	635	605

15. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

შენიშვნა 15 - ფინანსური ხარჯი

	2024	2023
საპროცენტო ხარჯები	2,786	3,495
საკურსო სხვაობის წმინდა მოგება	1,966	-
სულ ფინანსური ხარჯი	4,752	3,495

16. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში კომპანიის მიმართ არსებული წაყენებული არსებითი პრეტენზიები და სასამართლო დავები იდენტიფიცირებული არ არის. საკუთარი შეფასებისა და როგორც შიდა ასე გარე კონსულტაციების საფუძველზე ხელმძღვანელობის აზრია, რომ არანაირი საფუძველი შესაძლო სასამართლო პროცესის დაწყების, რომელიც გავლენას იქონიებს წარდგენილ ანგარიშგებაზე იდენტიფიცირებული არ არის.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

ბალანსის შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვანი გარემოებები რომელსაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეს წარდგენილ ანგარიშგებაზე იდენტიფიცირებული არ არის.

**შპს „მერსინ ტურიზმი“
2024 წლის მმართველობის
ანგარიშგება**

საქმიანობის მიმოხილვა	4
ბაზრის მიმოხილვა	4
საკანონმდებლო და სხვა რეგულაციებისა	4
კომპანიის შესახებ	5
ორგანიზაციის საქმიანობის სფერო და მისი მიწოდებული სერვისი	5
თანამშრომლები	6
არაფინანსური მახასიათებლები	6
ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე	6
კორუფციასთან ბრძოლა	7
რისკები და მათი მართვის მექანიზმი	7
საკრედიტო რისკი	7
ლიკვიდურობის რისკი	8
საბაზრო რისკები	8
ზოგადი რისკები	8
SWOT ანალიზი	9

შესავალი

შპს „მერსინ ტურიზმი“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის“ შესაბამისად და დაარსდა 2011 წლის 14 ნოემბერს. კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია გოგებაშვილის 60, ბათუმი, საქართველო.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის სრულად ფლობდნენ ბატონი თოლგა ავგორენ (80%) და ატონი ათილგან არიფაღაოღლუ (20%). 2024 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის სრულად ფლობს ბატონი თოლგა ავგორენ (100%).

ჩვენი ძირითადი საქმიანობაა ლუქს კლასის სასტუმრო ბიზნესი, შენობაში ასევე არის განთავსებული რესტორანი და ბარი.

სასტუმროს შემოსავალი არის დამოკიდებული ტურისტული კომპანიებთან მუშაობაზე, რომლებიც დამსვენებლებს სთავაზობენ სტუმრებს. სასტუმროს ოპერირება პირდაპირ დაკავშირებულია ტურისტების ნაკადებთან ქვეყანაში და კერძოდ აჭარაში.

საქმიანობის მიმოხილვა

ბაზრის მიმოხილვა

სასტუმრო ბიზნესი საქართველოში შეიძლება ითქვას რომ ერთ-ერთი პრიორიტეტული სეგმენტია, როგორც ტურისტული ინდუსტრიის განვითარების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი ქვეყანაში, საქართველოს მთავრობის ერთგვარი პოლიტიკაა რომ ხელი შეუწყოს საქართველოს ტურიზმის სექტორის განვითარებას და გაზარდოს ქვეყანა ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ ადგილად რეგიონში. მედიაში აქტიურად შუქდება ლუქს კლასის სასტუმროების ახალი ობიექტების მშენებლობა და არსებული ობიექტების გაშუქება, ან სასტუმრო სექტორში სიახლეები.

სასტუმრო ბიზნესის სეგმენტი საქართველოში სხვა სეგმენტებთან შედარებით უკეთესად არის განვითარებული და შესაბამისად ქვეყნის ბიუჯეტში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კონტრიბუტორია. სასტუმრო ბიზნესის სექტორში ბრუნვისა და მოგების ზრდის ტრენდი მუდმივად მზარდია, განსაკუთრებით ბოლო წლების განმავლობაში, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია ყოველწლიური ტურისტული ნაკადების ზრდასთან. კორონა ვირუსის პანდემიის დაძლევის შემდგომ, მნიშვნელოვნად მოიმატა ტურისტთა ნაკადმა როგორც საქართველოში, ასევე კონკრეტულად აჭარის რაიონში, რაც აისახა სასტუმროს ნომრების ფასებზე. ასევე

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ინფორმაციით, 2024 წელს შიდა და საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობამ პირველად, 5 მილიონს გადააჭარბა, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით +25.3%-ით არის გაზრდილი.

მიუხედავად მრავლისმეტყველი სტატისტიკისა და მომავალი პროგნოზებისა, ტურისტული სფერო არის ძალიან ვოლატილური, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა გარე ფაქტორზე, რომელიც ვერ იქნება მოქცეული კომპანიის კონტროლის ქვეშ, რომლებსაც პირდაპირი ნეგატიური ზეგავლენა აქვთ ტურისტების მისვლა-მიმოსვლაზე, როგორიცაა მსოფლიო ფინანსური კრიზისები, ახლო წარსულში არსებული პანდემია (COVID-19), პოლიტიკური არასტაბილურობა და ასე შემდეგ.

საკანონმდებლო და სხვა რეგულაციებისა

სასტუმრო და ტურიზმის სექტორი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში რეგულირებული საქმიანობის ფორმაა და ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოა. საქართველოში სასტუმრო ბიზნესის საქმიანობას, ზოგადად საქართველოში მოქმედი კომპანიებისთვის სავალდებულო საკანონმდებლო აქტების გარდა, კიდევ ოთხი საკანონმდებლო აქტი არეგულირებს.

1. „თავისუფალ ტურისტულ ზონაში სასტუმროს პროფილთან თავსებადი საქმიანობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კანონი;
2. „თავისუფალ ტურისტულ ზონაში საშუალო და მაღალი კლასის სასტუმროს კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კანონი;
3. „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ“ საქართველოს კანონი;
4. „ქალაქათუმის, აგრეთვე ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში მდებარე სასტუმროს ახლად აშენებულად ჩათვლის შესახებ საქართველოს კანონი“;

კომპანიის შესახებ

ორგანიზაციის საქმიანობის სფერო და მისი მიწოდებული

სერვისი

ჩვენი კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის სასტუმრო სერვისის მიწოდება უცხოელი და არა უცხოელი ტურისტებისთვის, ვისაც სურს ლუქს კლასის სასტუმროში გაჩერება, ცხოვრება და დასვენება.

სასტუმროში არის ორასამდე ოთახი, სხვადასხვა კლასის და ზომის, ისე რომ თითოეული სტუმრის მოთხოვნილება იყოს დაკმაყოფილებული.

მთელი წლის განმავლობაში, სასტუმროს დაკავების პროცენტი საშუალოდ შეადგენს 70-80%, რაც ინდუსტრიის საშუალო მაჩვენებელთან ახლოსაა. რეგიონის გათვალისწინებით, სეზონურობით უნდა იყოს დათვლილი დაკავებულობის მაჩვენებელი - ივნისი - ოქტომბერი

- საშუალო მაჩვენებელი არის 80%, რაც ასევე ინდუსტრიის საშუალო მონაცემთან ახლოს არის. ხოლო დაკავებულობის ინდექსის კორელაცია მთელი ქვეყნის სასტუმროების მასშტაბით დაკავებულობის ინდექსთან არის დაახლოებით 85%.

სარესტორნო სეგმენტი მოიცავს ლუქს კლასის რესტორანსა და ბარს. ასევე, მზს „მერსინ ტურიზმს“ გაქირავებული აქვს საკუთარი ფართი კაზინოზე, რომელიც სასტუმროს შენობაში ფუნქციონირებს.

გარდა ჩვეულებრივი ყოველდღიური საქმიანობისა, იმართება სხვადასხვა სახის წვეულებები, კონფერენციები და ივენტები.

კომპანიის მეორე შემოსავლის ნაკადი არის საოფისე და კომერციული ფართების გაქირავება. კომპანია აქირავებს ფართს, რომელიც გამოიყენება როგორც სპა და ფიტნეს ცენტრი.

შემოსავლების მესამე ნაკადი მოდის მაღაზიებზე, რომლებიც ყიდიან ტანსაცმელს, ფეხსაცმელს და სუვენირებს.

თანამშრომლები

2024 წლის განმავლობაში კომპანიაში 200-მდე თანამშრომელი მუშაობდა და მათზე წლის განმავლობაში ხელფასის სახით 3 მილიონ ლარზე მეტი გაიცა. კომპანია საქართველოს ბაზარზე ერთ-ერთი საუკეთესო დამსაქმებელია, ხელფასები კონკურენტუნარიანია, ასევე კომპანია იღებს თანამშრომლების კვებისა და ჯამრთელობის დაზღვევის ხარჯებს. კომპანია მხარს უჭერს გენდერულ თანასწორობასა და ადამიანის ნებისმიერი დისკრიმინაციის ფორმის წინააღმდეგ.

მუდმივად ვცდილობთ, გავაუმჯობესოთ თანამშრომელთა სამუშაო პირობები და გარემო. კომპანია ახალი თანამშრომლების შერჩევისას არჩევანს აკეთებს ყველაზე მოტივირებული და მონდომებული კადრების სასარგებლოდ. კომპანიის საქმიანობის წარმატებულად წარმართვაში არსებით როლს ასრულებს ადამიანური რესურსი, ამიტომ ვცდილობთ შევქმნათ ოპტიმალური პირობები ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისათვის. თანამშრომელზე ორიენტირებული მიდგომის საბაზისო საყრდენი სამართლიანობაა, რომელთა გამოვლენას კომპანია ცდილობს ადეკვატური ანაზღაურების, დამატებითი ბონუსების გაცემითა და ღირსშესანიშნაობით.

კომპანია იზიარებს და იღებს მის წილ პასუხისმგებლობას დასაქმებულების წინაშე, თუმცა სანაცვლოდ მათგანაც მოითხოვს კეთილსინდისიერ და გონივრულ დამოკიდებულებას საქმის მიმართ, რაზეც ნათლად მიუთითებს კომპანიის შრომის შინაგანაწესი.

არაფინანსური მახასიათებლები

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

საქართველოს კანონმდებლობა ადგენს შრომის უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს და აღნიშნული მოთხოვნების დაცვასთან ერთად, შპს „მერსინ ტურიზმი“ ცდილობს საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკა გაითავისოს და შეუქმნას თანამშრომლებს შრომისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო.

ასევე, 2017 წელს მომხადარი ხანძრის გამო, უსაფრთხოების ნორმები იყო გადახედილი და გაუმჯობესებული, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. ხანძრის შემდეგ, სასტუმრო გაიხსნა მხოლოდ მაშინ, როცა სახელმწიფომ დაუდასტურა უსაფრთხოების ნორმების შესაბამისობა.

რის შემდეგ, კომპანიის შენობაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინფრასტრუქტურა, თანამშრომლებს უტარდებათ სხვადასხვა სახის ტრენინგი, თუ როგორ მოიქცნენ უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად და როგორ მოახდინონ სწრაფი რეაგირება სტიქიურ უბედურებებსა და გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე.

კორუფციასთან ბრძოლა

კომპანიას აქვს ნულოვანი ტოლერანტობა კორუფციის მიმართ და ჩვენთან დაუშვებელია კორუფცია და ქრთამის აღება/მიცემა, მიუხედავად მისი ოდენობისა და გამომხატვის ფორმისა. კომპანია მკაცრად აფასებს ნებისმიერ ქმედებასა თუ ტრანზაქციას, რომელიც შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც არამართლზომიერი გავლენა კომპანიისკენ მიმართულ გადაწყვეტილებებზე.

რისკები და მათი მართვის მექანიზმი

რისკების იდენტიფიცირება და მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება კომპანიის საქმიანობის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს.

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობის გამო, კომპანია შემდეგ რისკებს მიმართ არის მგრძნობიარე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის მეორე მხარე არ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და კომპანიას ძირითადად წარმოემშვება ფულის და ფულის ექვივალენტებისგან. 2023 წლის ბოლოსათვის, ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების სახით შპს „მერსინ ტურიზმი“ სხვადასხვა ვალუტის ნაღდი ფულისა და რამდენიმე საბანკო ანგარიშზე ფულისა და მისი ექვივალენტების სახით ფლობდა, ჯამში 144 ათას ექვივალენტს ლარში. ანგარიშები მთლიანად განთავსებულია ქვეყნის სამ ბანკში, რომელთა შორის ერთი არის საქართველოში უმსხვილესი ბანკი, რომლის საკრედიტო რეიტინგი არის:

ბანკის სახელწოდება	გრძელვადიანი რეიტინგი	მოკლევადიანი რეიტინგი	საკრედი ტო სააგენ ტო
--------------------	--------------------------	--------------------------	-------------------------------

TBC ბანკი	BB -	B	Fitc h
--------------	---------	---	-----------

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების შესახებ უფრო დეტალურ ინფორმაციას იხილავთ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის მიმდინარე ვალდებულებები მნიშვნელოვნად აღემატება, რაც უქმნის კომპანიას ლიკვიდურობის მაღალ რისკს, რის გამოც მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვისთვის საჭირო იქნება ან გრძელვადიანი აქტივების გამოყენება ან ახალი ვალდებულების (გრძელვადიანის) აღება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, აღნიშნული სხვაობა მნიშვნელოვნად გაიზარდა 2022 წელთან შედარებით.

საბაზრო რისკები

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო კონვერტაციის განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის მფლობელობაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე. მოგება ან ზარალის არასტაბილურობის სამართავად კომპანია არ მიმართავს ჰეჯირების პრაქტიკას.

ზოგადი რისკები

კომპანიას გააჩნია შიდა კონტროლის მექანიზმები, რომლებიც მიმართულია საოპერაციო რისკების (მაგ. თაღლითობა, ქურდობა, და ა.შ.) შემცირებისაკენ. რეგულარულად ხდება მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა და აღწერა, რაც ხელს უწყობს მაღალი დონის დაცულობას მსგავსი რისკებისგან. შიდა შემოწმებების შედეგად უკანასკნელ პერიოდში რაიმე სერიოზული ხარვეზი ან დანაკლისი არ გამოვლენილა.

SWOT ანალიზი

	პოზიტიური	ნეგატიური
შიდა	ძლიერი მხარეები • კომპანიის აქტივები • მომსახურების ხარისხი • ამონაგების ზრდის ტრენდი • ძლიერი გუნდი • სავაჭრო მარკა	სუსტი მხარეები • დაგროვილი ზარალი • ვალდებულებების აქტივებზე სიჭარბე • უარყოფითი კაპიტალი
გარე	შესაძლებლობები • ტურიზმის განვითარება • კანონმდებლობის მოქნილობა • სერვისის მოთხოვნის ზრდა	საფრთხეები • ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა • რეგულაციების გამკაცრება • ძლიერი კონკურენტები • პოლიტიკური დესტაბილიზაცია • ბაზრების ცვალებადობა • გაუთვალისწინებელი გარემოებები

.....

ეროლ


ავგორენ

დირექტორი

26 სექტემბერი, 2025

SWOT ანალიზი

	პოზიტიური	ნეგატიური
შიდა	ძლიერი მხარეები • კომპანიის აქტივები • მომსახურების ხარისხი • ამონაგების ზრდის ტრენდი • ძლიერი გუნდი • სავაჭრო მარკა	სუსტი მხარეები • დაგროვილი ზარალი • ვალდებულებების აქტივებზე სიჭარბე • უარყოფითი კაპიტალი
გარე	შესაძლებლობები • ტურიზმის განვითარება • კანონმდებლობის მოქნილობა • სერვისის მოთხოვნის ზრდა	საფრთხეები • ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა • რეგულაციების გამკაცრება • ძლიერი კონკურენტები • პოლიტიკური დესტაბილიზაცია • ბაზრების ცვალებადობა • გაუთვალისწინებელი გარემოებები



ეროლ

ავგორენ

დირექტორი

26 სექტემბერი, 2025

